დანართი N1

2016 წლის 05 ივლისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის

შესახებ ნაპ.საპრ.#1-16 (CMR160131744) ხელშეკრულებაზე

თბილისი 20.09.2016წ.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება _ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის **მაია ქალიაშვილის** სახით, შემდგომში შემსყიდველი, ერთი მხრივ და **შპს „პროექტირება,მშენებლობა,ექსპერტიზა“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის **თამაზ შიშინაშვილის** სახით, შემდგომში მიმწოდებელი, მეორე მხრივ, მიმწოდებელი ორგანიზაციის 2016 წლის 19 სექტემბრის №16/80 წერილის და ხელშეკრულების მე-13 მუხლის 13.7 პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება გარდაბნის მუნიციპალიტეტში მდინარე მტკვარის მარცხენა სანაპიროზე (შპს „რუსთავის აზოტის“ შლამშემკრებთან) ნაპირსამაგრი ნაგებობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისა და საავტორო ზედამხედველობის მომსახურების განხორციელების შესახებ მხარეთა შორის 2016 წლის 05 ივლისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ნაპ.საპრ.#1-16 ხელშეკრულების მე-15 მუხლის იმ ნაწილში, სადაც მითითებულია მიმწოდებელი ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტები და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საბანკო რეკვიზიტები:

სს „თიბისი ბანკი“, ბანკის კოდი TBCBGE 22, ანგარიშის ნომერი GE32TB7987536080100001“.

2. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

3. წინამდებარე დანართი წარმოადგენს პირველ პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად და ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.

4. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
დეპარტამენტის	შპს „პროექტირება,მშენებლობა,ექსპერტიზა“
თავმჯდომარის მოადგილე	დირექტორი
მაია ქალიაშვილი	თამაზ შიშინაშვილი